



№ 33

9 გორბობისთვე 1914 წ.

მიიღება ხალის მოწარა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

ყოველ კვირული საზოგადო-ეკონომ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიზრი და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მისამე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე მ ი:

1. შეთაური. 2. ეკონომიური გაერთიანება. 3. მსახეები სამელიორაციო კრებისთვის. — მკვიდრისა. 4. უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ!.. (ლექსი). — დუტუ მეგრელია.
5. უნებური მსხვერპლი. — ინისა. 6. ქართულ თეატრის კარგეში. — რ. ფავლენიშვილისა. 7. ქ. შ. წ.-კ. გ. ს. — რ. გ-ესი. 8. ვად. ბრიუსოვის აზრი გერმანელებზე.
9. ეგვიპტეს მდგომარეობა. — დოგენისა. 10. წიგნების სია.



ინგლისური არტილერია მიისწრაფვის პოზიციებზედ.

ე.ბილისი 9 გიორგობისთვის 1914 წ.

უკანასკნელ დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, სატახტო ქალაქების პრესამ ქართველებზედაც ამოიღო ხმა, რაკი საომარი ასპარეზი ჩვენ მხარესაც დაუახლოვდა, მაგრამ რომ სულ არაფერსა სწერდნენ, როგორც აქამდის, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რადგან გულს არ მოგვიკლავდა მაინც იმ საბავშვო ჩხრიალებით, რომლებითაც გვიმასპინძლებიან. მთელი ქვეყანა ინგრევა, მისი პოლიტიკურ-სოციალური სტრუქტურა იცვლება, თავისუფლების ცოცხალი გარანტია ინგლისი საყოველთაოდ აცხადებს, რომ პატარა ერთა და ხელშეკრულებათა დასაცავად გამოდის, საფრანგეთი იბრძვის უმაღლეს იდეალით—სამშობლოს დაცვით გატაცებული, რუსეთის მხედრობის უმაღლესი მთავარ-სარდალი ავტონომიას ანიჭებს პოლონეთს და ავსტრიის მოსახლე ერებს ჰპირდება განთავისუფლებას მძიმე უღლისაგან, თვით გერმანია და ოსმალეთიც კი ხმა მალდა ყვირიან: ჩვენ განმათავისუფლებელი მისიითა ვართ აღჭურვილიო... და ამ დროს სატახტო ქალაქების პრესა ქართველობისათვის გულის მოსაფხანად ბეჭდავს კარგ ამბებს, რომ კავკასიელთა გულად რაზმებში საუცხოვოდ იბრძვიან ქართველებიო, რომ სიმღერითა ხედებიან მტერსა და მის ტყვიებსაო და საქართველოც ლამაზი ქვეყანა არისო. მადლობას უხდებიან და ტაშის ცემით აცილებენ ჩვენს სტუდენტობას, თავისუფალ მოხალისეებად ჩაწერილებს და ულოცავენ „დრუჟინების“ შედგენას, ე. ს. იდილიურად აქვთ წარმოდგენილი ჩვენი თავგანწირვა

ჩვენ კარგად ვიცით და კვლავაც გვეცოდინება რასაკვირველია, რომ „მოკლილ მგეგაზეთეთა“ აზრს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს და მათი აზრი ან სურვილიც უბრალო ენის ქვეილი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ გვიკვირს, რომ პროგრესიული, ლიბერალური პრესა ისე თამამად, გულახდით ეჯიბრება მაგ. სომხებს, მათი ბამბის ჩხრიალიც ესმის და ჩვენი კაკლისაც არა. ესმის მხოლოდ და იწონებს ჩვენი იარაღის ჩხრიალსა, რომელსაც თან აუარებელი სისხლი სდის, რასაც ყოველდღიური სიები გვიმტკიცებენ დაჭრილთა და მოკლულთა.

მაგრამ რას რეიზამთ, რა ძალა გვაქვს ვებრძოლოთ მოწინავე პრესას, მაგრამ სახელმწიფოს უმაღლესი გამგენი, რომელნიც სისტემატიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებიან საერთო იდეას, რომ მხოლოდ კმაყოფილნი საერთო პირობებით შეადგენენ მქიდრო კავშირს მძლავრი მტრის დამამხოველსა—თავის დროზედ უეჭველია თვითონ გამოსძებნიან იმ ფორმას, რომლითაც გათანასწორებულნი იქნებიან რუსეთში ყველა მისი ქვეშევრდომნი და არა მხოლოდ ზოგიერთნი.

ეკონომიური გაერთიანება

მეტად ძლიერი და თვალსაჩინოა დღევანდელი ომის ზეგავლენა ყოველ ხალხზედ, როგორც პოლიტიკურ ორგანიზმზედ, მეტად ცხოველად განიცდის ყოველი ადამიანი ამ ომის დიდს პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომ დალაგებით, წინანდებურის სიმშვიდით და სიწყნარით შეეძლოს ფიქრი ყოველდღიურ გასაქორზედ, რომელიც თანდათან უარესდება, მაგრამ ცხადია, რომ ერის ძალოვნე არ უნდა შეილიოს უშინაარსო ღელვამ და გაფაციცებულმა ცნობის-მოყვარეობამ; ხალხი, ერის მასსა უადა მშვიდათ და დარბაისლურად ეწეოდეს თავის უღელს, რომ ომისაგან გამოწვეულ ზარალს, ეკონომიური კრიზისის ზარალით არ გაულრმავოს ფესვები. საუკეთესო მუშა ხელი დღეს ბრძოლის ველზეა და შინ დარჩენილთ ერთი-ორად ჰპართებთ მუყაითობა და გამრჯელობა, რომ პირნათლად შეხვდნენ უკეთეს მომავალს. ამ მხრივ, ხალხს თავისი ალღო აქვს და სურვილიც ცხოვრების მოწყობისა, მაგრამ უმოსავლობამ ზოგან, მოსავლის გაყიდვის აკრძალვამ შეორევან და საერთო სამეურნეო პირობათა არევათ სუყოველგან, ერთიანი კრიზისი გამოიწვია, რასაც შეუჩვეველი და მოუწყობელი გლახაკობა თითქმის გულ-ხელ დაკრებილი უნდა შეხვდეს, რადგან არ იცნობს იმ საერთო პირობათ და საშუალებათ, რომელნიც უნდა დაიშველონ მოულოდნელ ქირთა ასაცდენად. ამისათვის კი მეტად საჭიროა პროვინციის და ქალაქის ინტელიგენციამ ნამეტანი ენერგია გამოიჩინოს, გამოარკვიოს, შეიმუშაოს საერთო მოსაზრებანი და

სამოქმედო გეგმა, რომ შეასუსტოს ბედისაგან დარულ გრდემლის შედეგები ხმები ისმის რომ გურია-სამეგრელოში ორიოდ თვის შემდეგ შიმშილობაა მოსალოდნელი, კახეთის მდგომარეობა უკიდურესობამდე მისული ღვინის აკრძალვის, ქართლი ყოველთვის იყო დაქვეითებული ეკონომიურად და ეხლა უფრო დააქვეითა ომმა და სხ. და სხ.

გაზეთებმა კეთილი ცნობა მოგვიტანეს, რომ გორის მაზრის საკრედიტო დაწესებულებანი იწვევენ ხაშურში საზოგადო კრებას დღევანდელ კარზე მომდგარ ჭირ-ვარამთან საერთოდ ბრძოლისათვის და ეს წასაბაძი მაგალითი უნდა გამჟღავნდეს ყველგან; ყველა კოოპერატიული და არაკოოპერატიული ამხანაგობანი, სამეურნეო საზოგადოებანი და კერძო მკოდნენი უნდა იკრიბებოდნენ, სჯიდნენ საზოგადო მდგომარეობაზე და იკვლევდნენ საერთო საშუალებათ. ასეთი საშუალებანი ბევრია და საკმაო ენერგიით და უნარით, დიდი საქმეც გაკეთდება დღესაც და საშვილიშვილოდაც.

სახელმწიფოსაგან დარიგებული ფული ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის სრულიად საკმარისი არ არის სამეურნეო დანაკლისის აღსადგენად. აქ საზოგადო პირობებია შესამუშავებელი, რასაც აწონილ-დაწონილი მოსაზრება სჭირია. დარიგებული ფული, თუნდაც რომ დიდი იყოს, უნაყოფოდ დაიკარგება, თუ სწორი გზა არ გამოიხატა. საქმე ფულში კი არ არის, არამედ სამეურნეო დახმარებაში, რომ პური და სხვა უსაჭიროესი სანოვანგე და ნივთი არ გაძვირდეს, რომ შოვნა იყოს მათი და სამეურნეო თესლეულობისა, მუშა ხელისა, საქონლისა და საქირო იარაღისა. საქიროა ვენახის და სხვაგვარ ბაღეულობის წამლები, თესლები, ნერგები და სხ. და სხ. ყველა ამის მოგვარება ცალკე მეურნესათვის არამც თუ ძნელი, პირდაპირ შეუძლებელი ხდება დღევანდელ პირობებში. ამიტომ კოოპერატივები საკრედიტო, სამეურნეო თუ მომხმარებელი, ყოფილნი უკვე თუ ახლად აღორძინებულნი უნდა შეერთდნენ, გამონახონ საერთო პირობები და საშუალებანი. რამდენიმე ძირითადი საშუალება უკვე არის და მხოლოდ სათანადო უნარსა და ძალას თხოულობს განსახორციელებლად და ცხოვრებაში გადასატანად. პირველია, მაგალ. მაღაზიის ფული, რომელიც შეადგენს სოფლის საკუთრებას და სათანადო ფორმალური მხარის შესრულების შემდეგ, ადვილად შეიძლება მოხმარდეს სოფლისაგან საერთოდ შეძენას საქმელ და სათესლე პურისას, წამლისას თუ იარაღისას. მხოლოდ ხელის

განძრევია საჭირო. მეორე საღსარია სახელმწიფო ბანკი, რომელიც უეჭველია ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში, თუ თავდებად დაუდგებიან ყველა კოოპერატივები, საგრძნობლად გაადიდებს გაცემულ კრედიტს საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მესამე არის—მუდმივი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დაიკვეთავდეს რუსეთის და საზღვარ-გარეთელ სამეურნეო მასალებს, წამალს და სხ.

კიდევ ბევრისაგან ბევრი საშუალება შეიძლება გამოიხატოს, როგორც მაგალითად გამსაღებელი, მომხმარებელი ან წარმოების კოოპერაციები, ერთის ძალით შექმნილნი ყოველგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და სხ. ყოველ კუთხეში შეიძლება ინიციატივა იკისრონ საკრედიტო კოოპერატივების მოთავით და საერთო ყრილობა მოაწიყოს თუნდ ქ. სამეურნეო საზოგადოებამ, რომელმაც წინდაწინვე უნდა შეიმუშაოს პროგრამა, ადგილობრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ყველა ამას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა დღევანდელ კრიზისისაგან დახსნისა—დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნებოდა სამერმისოდაც, როდესაც ომის შემდეგ საქირო გახდება საზოგადოთ ამოძრავება მთელი ეკონომიური ძალისა, საუკეთესო მომავალის დასამყარებლად. ომმა ჩვენ გვისწრო ეკონომიურად დაძაბუნებულებს და ომმაც უნდა გამოგვადვილოს ეკონომიურ აღორძინებისათვის, რადგან არაფერსა აქვს ისეთი შემაერთებელი ძალა, როგორც საერთო გასაქირს და ერთობა ხომ ყოველ გამარჯვების საწინდარია. მაშ მხნედ შევეცადნეთ შექმნათ ასეთი საერთო ორგანიზაცია და მაშნ ვერავითარი ვერც შინაური და ვერც გარეული მტერი ვერ დაგვჯახნის და ჩვენს სამშობლოში ჩვენი თავის ბატონ-პატრონნი ჩვენ ვიქნებით ეკონომიურ დარგში; და როდესაც ერი ძლიერია ეკონომიურად, მას ანგარიშს უწევენ ყოველ სხვა მხრიდანაც. შეერთება პირველი საზრუნავი საგანია დღეს ჩვენთვის და ღვთის მადლით, ამ შეერთების წინამორბედნი უკვე ჩნდებიან აქა-იქ—ეს არიან მრავლად გაფანტული კოოპერატივები, რომელთაც თანდათან უცხოველდებათ აზრი საერთო კავშირისა.

მასალები სამედიკინო კრებისათვის

(დასასრული)

წინა წერილში მოთავსებული იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრთა მიერ გადმოცემული ცნობები მიწათ-მომქმედ დეპარტამენტის და მიწათ-გაუმჯობესების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვაზე, ახლა მკითხველს მინდა გავაცნო კანონპროექტი რომანოვების ფონდის თაობაზე, კერძოდ კი კანონპროექტის ის ნაწილი, რომელიც ამიერ-კავკასიას შეეხება.

მიწათ-მომქმედმა და მიწათ-მომწყობმა მთავარ გამგებამ, რომანოვების დინასტიის 300 წლის მეფობის აღსანიშნავად, სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი შეიტანა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი მიწათ-გაუმჯობესების საქმეები.

მიწების გაუმჯობესების განსახორციელებლად ამ კანონპროექტით უწყება სახელმწიფო ხაზინიდან 5 წლის (1915—1919 წ.) განმავლობაში სახსარს თხოულობს, — სულ 150 მილიონ მანეთს ევროპის რუსეთისათვის და იმპერიის სხვა ნაწილებისათვის.

ამ კანონპროექტით დიდი საქმეები მოგველის კავკასიაში, როგორც ამიერში ისე იმიერში, საცა განზრახვა აქვთ ზომები მიიღონ თერგის წყალდიდობის წინააღმდეგ, უნდა ისარგებლონ მიწების მოსარწყავად და ჰსურთ საერთოდ შეისწავლონ მდინარეების ჰიდრო-ელექტრონული ძალა.

ამას გარდა უახლოეს ხანისათვის განზრახული აქვთ განსახორციელონ უკვე შედგენილი და დასტურ დაცემული მილის ტრამალის 87 ათასის უდაბურ ადგილების მორწყვის პროექტი და ჯერ კიდევ არ დამთავრებული (მაგრამ რომელიც მალე დათავდება) მორწყვის პროექტი მუღანის ტრამალის სამხრეთის ნაწილისა, რომლის სიგრძე შეიცავს 40.000 დესეტინასა და რომლის მოსარწყავად სპარსეთის საზღვრებიდან მდინარე არეზის წყლის გამოყვანას აპირობენ.

კანონპროექტში მოხსენებულია კიდევ შემდეგი: „უწყების აზრით სახელმწიფოთ მიწების შექენა გამომდინარეობს თვით ზოგიერთ მედიკინო-კრებისათვის თვისებისაგან; მაგალითად ქვიშნარისა

და ხრამების ჩქარა გამაგრება შესაძლოა მხოლოდ იმ ადგილებზე, რომელიც ხაზინის განკარგულებაში და მფარველობის ქვეშ არის; 652000 დესეტინამდე ქვიშნარ და ხრამიან ადგილების შექენა მთელ იმპერიაში და გადაცემა ხაზინის განკარგულებაში გათვალისწინებულია ქვიშნარ-ხრამიან ადგილების საქმეების აქ მოყვანილ გეგმით“.

აღნიშნულ განზრახვათა განხორციელება მომავალ ხუთ წელიწადში (1915—1919 წ.) საჭიროობს 150 მილიონ მანეთს შემდეგი ანგარიშით.

I ჰიდრო-ტექნიკური საქმეებზე: ა) ევროპის რუსეთში — 35 მილიონი მანეთი; ბ) კავკასიაში — 19 მილიონი მანეთი, რომლიდანაც გადადებულია წყალდიდობასთან ბრძოლის საშუალებათა გამოძებნაზე და მდინარე თერგისა, ყუმისა, მტკვრის, არეზისა და სხვა მდინარეთა არხებში მდინარეთა ჰიდრო-ელექტრონულ ძალთა გამოკვლევაზე — 2 მილიონი მანეთი; წყალდიდობასთან ბრძოლისათვის და მიწების მორწყვისათვის მდინარე თერგზე პირველი ჯერის საქმეთა დაწყებაზე — 2 ნახევარ მილიონი მანეთი; აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში მილის ტრამალის 87 ათას დესეტინის მორწყვაზე თანახმად შედგენილ სატექნიკო და საჰიდრო-ელექტრონო კომიტეტის მიერ დადასტურებულ გეგმისა — 10 ნახ. მილიონი მანეთი; სპარსეთის მოსაზღვრე მუღანის ტრამალის სამხრეთ ნაწილის 40 ათასი დესეტინის მორწყვაზე, შედგენილ პროექტის თანახმად — 4 მილიონი მანეთი; გ) თურქისტანში — 39 მილ. მან.; დ) ევროპის რუსეთის ტრამალიან ნაწილებზე — 4 მილიონი მან.; ე) ციმბირში — 8, 5 მილიონ მანეთი.

II ქვიშნარ-ხრამიან ადგილების გამაგრებაზე — მარტო ევროპის რუსეთში 15 მილ. მან.

III საზოგადო საორგანიზაციო საქმეებზე — 29, 4 მილ. მან., რომლიდანაც 2 მილიონი გადადებულია იმ 5 საჰიდრო-ტექნიკო საშუალო სასწავლებლის გახსნა-მოწყობაზე, რომელიც გაიხსნება ტენიკების მოსამზადებლად მინსკში, ტინგუტში, თბილისში,

კავკაზში და ქურქისტანში (თითო სასწავლებელზე წავა, როგორც ამას გვიჩვენებს სასოფლო-სანეურ-ნეო საშუალო სასწავლებლის მოწყობა, 400 ათასი მანეთი.)

კანონ-პროექტის განხილვას აპირობენ სახელმწიფო სათათბიროს კომისიებში შემოდგომაზე, 1914 წ., როცა სათათბიროს სესიების მუშაობა დაიწყება.

როგორც მკითხველი ხედავს, რომანოვების მთელი ფონდი (150 მან.) უკვე განაწილებულია მიწად-მომქმედ—მთავარ გამგეობასაგან კავკასიისთვის და ამიერ-კავკასიისთვის გადადებულია 19 მილიონ მან., რომელთაც უკვე ზევით დასახელებული განსახდერული დანიშნულება აქვს.

მკვიდრი.



გერმანელთა ჯარი. იმპერატორი ვილჰელმი და მთავარ შტაბის უფროსი ფონ-მოლტკე საპოზიციო თხრილებთან.

უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ!..


(ვუძღვნი ესლანდელ თაში დახრციელ ქართველ შუამართა ხსოვნას).

უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ, უცხო მკვდრებში დარჩენილი, გრძნობს საბრალთ, რომ თვითონაც კვდება, დაქრილ-დაფლეთილი; კვდება, როგორც ტყის ნადირი, უბატონოდ მიგდებული, ზრუნვა-მოვლას და მშობლიურ ტკბილ ალერსსა მოკლებული არც კი იცის, თუ სად არის, ან ვინ არის მისი მკვლელი, — გერმანელი, ავსტრიელი, უნგრელი თუ ოსმალელი? იცის მხოლოდ, რომ უეცრად. „ომია“-ო, ხმა გაფარდა და ქვეყანაც, ორ ბანაკად გაყოფილი, ამღელვარდა!

ასტყდა ბრძოლა; ათას ადგილს საშინელი სისხლის ღვრავა;
 ჯარი-ჯარზე სწყდება... სწყდება, — დასასრული აღარაა!
 ერი-ერსა მისევია, მუსრს ავლებენ ერთმანეთსა,
 თითქო კაცთა ნათესავის მთლად მოსპობა კვლავ სურს ღმერთსა,
 რომ დასაჯოს ის, ცოდვილი, კვლავ საერთო სიკვდილითა,
 არა წარღწეით, თვით იმისვე სათაყვანო მახვილითა!..
 მასაც მისცეს თოფი ხელში; მოაშორეს მშობელ მხარეს, —
 არ მიხედეს მის წვრილ ცოლ-შვილს, არც ცრემლს მოხუც დედის ცხარეს, —
 ამ სიშორეს გადმოკარგეს და უბრძანეს: „იბრძოლო, —
 მეფისა და მამულისთვის ნუ გშურს შენი სიცოცხლე!..“
 და მანაც არ დაიშურა ქართველურად ივაჟკაცა, —
 მხნედ შეხვდა მტერს... მალე დასჭრეს... და, ჰა, კვდება აქ, სადღაცა;
 აქ, სადღაცა, უცხო ცის ქვეშ, უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ
 და ნაცვლად თვისთ აღერსისა გრძნობს უცხო მკვდარს თავის ხელზედ!
 აქ, სადღაცა, კვდება ისე, მაგრამ რის და ვის გულისთვის?..
 — როგორ თუ ვის? აკი უთხრეს — მეფისა და მამულისთვის!..
 — მამულისთვის?.. მაშ, მის მამულს მის მშვენიერს საქართველოს,
 ამ საშინელ წამებითა შეიძლება რამ უშველოს?..
 ოჰ, ოღონდაც კვლავ მაინც მას დრო დაუდგეს სანატრელი;
 ოღონდ გახდეს ბედნიერი მისი ერი, საყვარელი,
 და სიამედ შეიცვლება ეს სიკვდილი, საზარელი,
 თუნდ რომ კიდევ გაასკვდეს მის წილ-ხვედრი სატანჯველი!
 მაგრამ ვაი, თუ საწმინდოს ამ სიკვდილით მან ვერ არგოს, —
 მისი სისხლი, აქ დაღვრილი მისთვის უქმად დაიკარგოს?..
 არა, არა! სწამს და სჯერა, ეს ომი რომ გათავდება
 და მშვიდობა და სამართლმეტყველებას დაჰყარდება,
 თავისუფალ ჭრთა შორის თავისუფლად აყვავება,
 თუმც რიცხვ მცირეს, სულით ძლიერ ქართველ ერსაც წილად ხვდება,
 თვით გონებით ქრისტიან ერთ მოწინავე რაზმად ქმნილი,
 არა ერთხელ მოწამებრივ გვირგვინითა შემკობილი,
 ათას წლობით: გმირულ ბრძოლით რომ ქვეყანას აკვირვებდა
 და ყოველ მხრივ მოზღვავებულ მტარვალთ მედგრად იგერებდა;
 და, თუმც ბოლოს მოძმე დიდ ერს მიეკედლა დაქანცული,
 დაიცვა რაც წმინდა ჰქონდა — ენა, რჯული და მამული!
 სწამს, — ამ რწმენით გამსჭვალული, შვებით უმზერს მომავალსა
 და საამო ნეტარებით საუკუნოდ ხუჭავს თვალსა,
 უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ, უცხო მკვდრებში გარეული,
 მშობელ მიწას და მშობლიურ ცრემლის ცვარსა მოკლებული.

დუბუ მეგრელი.

გიორგობისთვე 1914 წ.



უნებური მსხვერპლი

I

მინდორი მწვანედ ღვინავდა. წინარი ნიაგი ვე-
ვილთა სულწლებსა ჰფანტავდა გარშემო და ჭკვილს
აღლავდა. ასწლოვან მუხის ქვეშ სოფლის ქალებს მო-
ეკრათ თავი და ღვინავდნენ. ამაღლებს უჭობდნენ,
არიფანს ჰქონდათ.

— აბა, გოგუებო, ვინ უფრო კარგ თაიგულს შეჭ-
კრავს!— წამოიძახა ერთმა.

ეველანი წამოიძახნენ და ფრანკელთა გუნდით
მინდორს მოედნენ.

ჩელ-ნელა იზრდებოდა თაიგულები. ერთი ეგვილი
მეორეს უხამდებოდა და ფურებს თავისებური ჰარმონია
იქმნებოდა.

შეკლივით დანაკრდობდა ცისა ამხანაგ ქალებს შო-
რის. წაბლისფერ კულულებს ჰქერდა აფრიალებდა, ეღვის
სიწრაფით ხან ერთ ვევილთან ხნდებოდა ხან მეორეს-
თან და გათავისებოთ სწევრტაშდა. ცხერისფერ თვალ-
ბიდან სხივები სცვიოდა, ხმამაღლა კასკასებდა და ზარი-
ვით წკრიალა ხმა სივრცეში იბნეოდა. ორ მარჯვან
შორის მარჯალიტები უერთოდა. სულ ნორჩიყო.

— რა გოგოა და!— გაისმა ხმა.

ცისას ვევილები ხელიდან გაუცვივდა, შეკრთა: სი-
ცოცხლით სავსე ვაჟაკი უმზერდა. თვალები უბრწყინავ-
დნენ, შავი აბზინებული ქაჩორი შებლზე გადმოჰფენო-
და. ხელში კაკლის შტო ეჭირა.

— გუგუნა სადარაშვილი, გუგუნა!— წაჭკრეს ერთ-
მანეთს ხელი გოგოებმა. — შარშან რომ სალდათობიდან
დაბრუნდა.

ცისამ თვალები ძირს დაუქნა და ხშირი წამწამები
ლოკებსზე გადმოეფინა. ეკავილთა შორის ეგვილად მოს-
ხანდა.

— აჭა, მინდრის ეგვილო, ესეც შენ თაიგულში
გაურიე. — შესძახა დარცხენილ ქალს გუგუნამ და კა-
ლის შტო გადაუგდო.

„მინდრის ეგვილი“ არ შეინძრა, კაკლის შტოს
ხელი არ ახლო. გუგუნა ცოტა ხანს კიდევ უმზერდა
ცისას და მერე თავის გზას გაუდგა. ცისამ უხებლიედ
თვალი გადადგნა.

ახალგაზრდა არწივით გაჭურვებდა შიდაშის, ვეფ-
ხვივით შიბიჭვებდა ფეხსა. მალე თვალს მოეფარა.

ცისა კი მოჭადლობულივით იდგა.

— არ გუერებს?— დაუფერა ამხანაგმა ქალმა ცი-
სას. — მივდივართ, წამოდი.

II

ცისამ აკრიფა მობნეული ეგვილები, აიღო კაკლის
შტოც, ხელის კანკალით ჩაურია თაიგულში და ჩელის
ხაბიჭით აედევნა თავის ტოლებს.

ცისას გონებიდან ვერ მოეშორებინა ტუტუნა. თვალ-
წინ სულ შავად აბზინებული ქაჩორი ესტებოდა. აშკა-
რად ხელავდა მოდიმარ სხეს, გაბრწყინებულ თვალებს,
ოდნავ კეხიან ცხვირს, კაბწია უღუსებს. გული ეკუმ-
შებოდა, სული ენბებოდა. რაღაც არაჩვეულებრივობას
გრძნობდა. სხივოსანი თვალები სევდით მოეცვა.

— დედაცოცო, ე გოგო რაღასაც დაგვლახებია!
რატომ არ იკითხავ, რა აშბავია მაგის თავსა?— უთხრა
გიგილა ნანიაშვილმა თავის ცოლსა.

— რაგი, აღამიანო! რაღაც დამეარათა. — უშასხეს
თინამ თავის ქმარს. — გუგუნა. დედა ვარ, უცნო ხომ
არა ვარ, შითხარი, რა მოგვიდა— შეთქა, მაგრამ შირ-
ვვარი ვერ დავაწერინე. სულ იმას შეუბნება, არაფე-
რიო.

მამ შე გამოვაფინისლეუბ. ახალგაზრდა გოგოა, გათ-
ხოგების დრომ მოუწია. — სთქვა გიგილამ. — ისეთ ბიჭს
მაგზე ჩემო ცისავ, რომ ეველას შენ შემოგნატრიდეს.

ცისას თვალები აენთენ, შუბლი შეიკრა. გადას-
წვიტა უარი ეთქვა, თუ სასურველს არ დაუსახელებდნენ.
შე გუგუნას მეტი არავინ მინდაო, სთქვა თავის გულში
ქალმა.

— იცო, დედაცოცო! — მიუბრუნდა გიგილა ცოლ-
სა. — სადარაშვილი გუგუნა თხოულობს შენს ქალსა.

სისარულისკახ ცისას სუნთქვა შეეკრა, სახე წამო-
უწითლდა, თავი დაღუნა და კულულები წინ წამოუცვიფ-
და.

— ჭა, გოგო, რას იტყვი? — ჰკითხა მამამ. — სი-
ით მიგაჭვს ე თავი? შითხარ. შეტრე-შავლობას ნიშანს
მოიტახენ.

III

ცისა დანიშნეს. გუგუნამ „მინდრის ეგვილის“ დაჭ-
ენთას და თავის ბაღში გადარგვას უბრთბდა.

დანიშნულები მოუთმენლად ელოდნენ ფოთლის გა-
ეფითლებასა, მაგრამ დახე მუხსანთ ბელსა. ხმა გავრდა,
რუსთა ხელმწიფეს ლემენტი აქაშაო, და სთადაროგო-
ებს დაუწვეს თავის მთურს. ცისას სახე დრუბელმა მო-
იცვა და საწვიმრად გაემხნადა.

გუგუნა ჭარში გაწვიეს. „მინდრის ეგვილი“
ტანობა იწუთ: მზის სითბო მოახლდა და სიცივე შეეპარა
ტანში.

VI

შემოდგომის ფართოდ გაშალა თავის კალთები. ფოთოლი გავეითებულიყო. ცაზე ღრუბლების ნაჭრები გუნდ-გუნდად დასრიალებდნენ. მისე თავი გამოეყო და აღმანერად უცქერდა დედამიწას. ქარი ხან ერთ ხეს უხდებოდა ხან მეორეს და დაძველებულ ქურქს უწიწებდა.

ცის ბაღში გამოსულიყო და მოღოთ მოსილ ბეჭობს მიჰკედლებოდა. ხეები სიბრალულით უცქეროდნენ ქალს.

მზე მზეობას ვედარ ეწეოდა. „მინდვრის უვაილი“ სულს ძლივსდა დაფავდა. სიცივეს მისთვის გული დაეთუქა.

ქალმა ძირს დაიხედა. ზატარა ცისფერ უვაილს ობლად ამოეყო თავი დედამიწიდან და ზირს შემოსცინოდა. ცისას წარსულმა გაურბინა თავში. მთაცონდა ამაღლებას დღე; უვაილების კონა, კაკლის შტო და თვალებიდან დაზა-ღუშით ცრემლები გადმოსცვივდა.

ცისას თვალი უცნაურობამ შეიპერო: ცისფერი უვაილი ჯერ გაფითრდა და მერე ნელ-ნელა სისხლის ფერი მიეცა. უვაილმა ზრდა იწყო. ფურცლებიდან სისხლის წვეთები წამოსცვივდა, გული შუაზე გადაუხსნა და ცისამ აშკარად დაინახა რომ იქიდან გუგუნა ამოვიდა. ნისლს მიაგავდა და ჭკერში დაფრინავდა.

— გუგუნავ, ჩემო არწივო! — წამოიყვირა ქალმა.

გუგუნამ ხმა არ გასცა, მიტრიალდა და იქვე ახლოს მდგომ ნაშალ მიწის ბორცვზე ხელი მიუთითა. ცისამ ბორცვი მხოლოდ ესლა შენიშნა, წინათ დაუნახავს. გუგუნა მივიდა ბორცვთან გადაუხსნა გული და მკვდრების ხროვა გამოაჩინა. ცისა გაოცებით უცქეროდა. მკვდრებს ზოგს ხელები ჰქონდა დაწვეტილი, ზოგს მუცელი გამოგლეჯილი, ზოგს თავი გაშპებული. გუგუნამ გადასწ-გადმოსწია მკვდრების სროვა და ზემოთ ერთი გვამი ამოათრია. გვამს ადამიანის ფერი დაჰკარგოდა, თვალები ჩასცვივოდა, ცხვირი გასწვეტიანებოდა, შავი ქიხორი აღარ უბზინავდა. ტუვით გული ჰქონდა განკვირული.


— მე სული ვარ ამისი. — უთხრა ლანდმა ცისას. — საჩქოს აღარ ვეკუთვნი. უწუალო ტუვამ მიწიერი სხეულის გული შემინგრია და საიქაოს გადამასხვდა. ჩემო ცისავ, ჩემო „მინდვრის უვაილი“, გინდა შენც წავიყვანო? უშენოთ იქ ცხვარება მემნელება.

ცისა წამოადგა ზეზე: გაიწია გუგუნასაკენ, მავრამ წატრტმანდა და ზირქვე დაეცა. ზირიდან სისხლი წამოქდა და ცისფერი უვაილი წითლად შეღება. წუთი სოფელს გამოესალმა. მზე ცოცხლად დაიწვა და ღრუბლებს ამოეთვარა. ცას მწუნარებით სხე მოელეშა, ქარმა ძლიერათ ამოიხონა, ხეს ქურქი შემთავუნრიწა და ცისას გვამს გაუვეითებული ფოთოლი მიაუარა.

ინი.



ბეტონის ერთ-ერთი სიმაგრე ლიეუში, რომელიც გერმანიის მძიმე არტილერიამ დაანგრიო.



გერმანელთა მძიმე არტილერიის ნიმუში.

ქართული თეატრის გარშემო

ქართველები, რომ გატაცებული ხალხი ვართ და პირველ ხანში უბედურებასაც და ბედნიერებასაც დიდი აღფრთოვანებით ვეგებებით. ეს არავისათვის დაფარული არ არის და დაგვეთანხმება ყველა ვისაც ფხიზელის თვალთ უდევნებია თვალ-ყური ჩვენის ცხოვრებისათვის, მხოლოდ ჩვენდა დიდათ საუბედუროდ მალე, ძრიელ მალე გაგვიგრძობდნენ გული და ყოველივე ჩვენი საქმე უდროვოდ მიწოდებდა ხოლმე!.. ბევრის მაგალითების ჩამოთვლით თავს არ მოგაწყენთ და მოგაბეზრებ მკითხველებს, საკმარისია მოვიგონოთ დიდებული ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი და მისი დასაფლავება. საეროვნო თანხაც კი გვინდოდა შეგვექმნა, მაგრამ გადავლეთ თვალი ბევრი შევავაროვეთ?! რიგიანი ძეგლიც კი ვერ დავადგიეთ! რამდენი ამისთანა მაგალითები შემოძლიან ჩამოვთვალო, მაგრამ რა საჭიროა?!

აი, დღესაც ჰგოდებს, - ვალაღებს და სტირის ყოველი ქართველი იმ უბედურების გამო, რომელიც დაგვატყდა მოულოდნელად თავს. უღმობელ

მა ცეცხლის სტიქიონმა ხელიდამ გამოგვაცალა ერთად ერთი ეროვნული ტაძარი, ჩვენი დიდება, სიამაყე **ქართული თეატრი**,

სატირელ-საგოდებელიც არის ჩვენისთანა **ბედ-კრული** და ღარიბ-ღატაკი ხალხისათვის დანაკლისი, მაგრამ ცარიელი ტირილი; გოდება, ვიში და ვუში დაგვიბრუნებს დანაკლისს?! არასოდეს! მაშასადამე საჭიროა ნივთიერი დახმარება დაუყონებლივ და ჩემის აზრით ვისაც თავისი თავი ქართველად მიაჩნია და ქართველს უწოდებს თავის თავსა, დიდი თუ პატარა, ქალაქელი თუ სოფელი, ქალი თუ კაცი, თავადი თუ გლეხი, მოხელე თუ მეურნე, მღვდელი თუ ერის კაცი მოვალეა გაიღოს თავისი წვლილი ვისაც რამდენი შეუძლიან.

ქართველები ორ მილიონზე მეტნი ვართ ვინაგარიშოთ ნახევარზე მეტი შეუსმენელნი, გადაგვარებულნი და არა თანამგრძნობნი! ერთი მილიონი ხომ დავრჩებით და თვითეულმა ჩვენგანმა ორთა შუარიცხვით, რომ ოროლი მანეთი გამოვიღოთ ორი მილიონი მანეთი შეგროვდება, ამას უნდა მი-

უმეტად ჩვენი შეძლებული ქველმოქმედნი, სხვა და სხვა დაწესებულებანი, რომელიც ბევრად მეტს გამოიღებენ. და თუ ჩვენებურად ქართველურად არ ავიცრუეთ გული და არ მივანებეთ თავი, შესდგება იმდენი ფული, რომელითაც მალე ისევ ვიპყებთ უფრო გაფართოებულ-გამშვენიერებულის თეატრით. მე როგორც უულარიბესი ავადმყოფი ადამიანი ჩემის მეუღლით ემშათი გაახლებთ დიდის ბოდიშით და მოწიწებით თითო მანეთს ამ ჟამად და ვეცდებით კვლავაც მოუწოდოთ შეძლების და გვარად ჩემი წვლილი. ამასთანავე ამ ახლო ხანში გაახლებთ ქართული თეატრის ბიბლიოთეკისათვის შემდეგს წიგნებს: „ჰამლეტი და ოტელო“ — შექსპირისა. „ჩანგი“ — გასოცემა სორაპინისა. „ქართული თეატრი“ — გუნიასი. „ქობში“ — ი. გომართელისა. „კენჭის ყრა“ — გურულისა. „ფიიქრები“ — ჰაუბტმანისა. „მორიელის დრამატიული თხზულებანი“. „ყაჩაღები“ — შილდერისა. „ორი ჯიბგირი“ — დეკურსელისა. „ანტიგონე“ — სოფოკლისა. და „ლალატი“ — სუმბათაშვილისა.

რ. ფავლენიშვილი.

P. S. რედაქციამ ამასთანავე მიიღო ორი მანეთი თეატრის საამშენებლო კომიტეტისათვის გადასაცემად.

ქ. შ. წ.-კ. გ. ს.

დღეს, კვირას, უნდა მოხდეს წვერთა საზოგადო კრება ქ. შ. წ.-კ. გ. ს-სა. ქართველი ერისათვის აღნიშნულ საზოგადოებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოში არ არის არც ერობა, არც სხვა რამ სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ზრუნავდეს სამშობლო ენის და წერა-კითხვის შესწავლასა და გავრცელებაზედ. ერთად-ერთი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც მოწოდებულია ხალხს ჩაუნერგოს სიყვარული და ბუნებრივი მოთხოვნილება სამშობლო წერა-კითხვისა დაუკმაყოფილოს, არის—ჩვენ წარჩინებულ მოღვაწეთა მიერ დაარსებული წერა-კითხვის გაშვარცვლებელი საზოგადოება. მისი მაღალი მიზანი და დანიშნულება იმდენად თვალსაჩინო და შეგნებულია ქართველი საზოგადოებისაგან, რომ არც ერთი ჩვენი სხვა საზოგადოება ან დაწესებულება არ

იზიდავს ისეთ საერთო სიმპატიებს და თანაგრძობას, როგორც იგი. მაშასადამე *a priori* უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მისი მოქმედება სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებებთან შედარებით უფრო ნაყოფიერი და ფართე უნდა იყოს. გარეგნულად ეს თითქო ასეც არის, რადგან მრავალი ფილიალური განყოფილება, სკოლა და ბიბლიოთეკა ყოველ წლიურ ანგარიშებში იზრდება და იზრდება; წრელს მაგ. უკვე 25 განყოფ. (ამათგან 7 ახალი) 16 სკოლა და 66 ბიბლიოთეკა (ახალი 11), მაგრამ ახლო თუ დააკვირდით, აღმოჩნდება, რომ ყველა ეს კეთილი არსებანი იზრდებიან მხოლოდ რიცხვით და არა შინაგანი სიძლიერით. ან კი რითი უნდა გაძლიერდნენ, როდესაც მთავარ-გამგენი სულ მუდამ უფულობას ჩივიან. უფულობა მომაკვდინებელი საბუთია ყოველ საქმისათვის, ეს ყველამ იცის და ამ დროს ახალ ბიბლიოთეკათა გახსნა უბრალო თვალთმაქცობად უნდა ჩაითვალოს. ასეც არის. ვინ არ იცის როგორ იხსნება ჩვენში ბიბლიოთეკა: ვინმე უსაქმურ კენიანს, ან საქმიან მემამულეს მოეფიქრება რომ სოფლისათვის სასარგებლოა ბიბლიოთეკა, ან გაზეთში ამოკითხავს, ან გაიგონებს სადმე და ასე მაშინვე გამართავს „თეატრს“, შეაგროვებს ორიოდ გროშსა, ნაცნობებს გამოართმევს ძველ წიგნებსა (უმეტეს ნაწილად რუსულ ჟურნალებს), გაზეთის საშუალებით წინდაწინვე მადლობას გამოუტყვადებს საზოგადოებას დახმარებისათვის, რედაქციებს სთხოვს ფას-დაკლებით ან უფასოთ გაზეთებს და — გაიხსნა ბიბლიოთეკა. არავინ დაგიდევს იმას, რომ ამ ბიბლიოთეკაში არამც თუ ხალხი, სოფლის ინტელაგენციაც თავს არ შეპყოფს ხოლმე და ბევრგან გვიანხავს ამ ბიბლიოთეკათა მტერი, ობი და ხავსი. ან რა გასახსნელია ბიბლიოთეკა იქ, საცა წერა-კითხვის ცოდნე ხალხი არ არის. ახლა ავიღოთ სკოლები, რომელთაც უნდა მოამზადონ მკითხველები ბიბლიოთეკებისათვის. უმეტესად ბიბლიოთეკა იხსნება იქ, საცა სკოლა არ არის არც წ.-კ. საზოგადოებისა, არც სამინისტრო და არც სამრევლო. წ.-კ. ს. სკოლები ბევრგან უმწეო მდგომარეობაში არიან... უსახსრობისა გამო. ამისდამიუხედავად მათი რიცხვი არა კლებულობს და მაინც მიაჩნჩალებენ... რიცხვის გადიდებისათვის. აი, მაგ. საგურამოს სკოლა. სკოლა ისეა დაშორებული სოფელს, რომ შეგირდები არ დადიან და მშობლები ჩივიან. ან რა სკოლაა ის სკოლა, საცა სულ 17 ბავშვი სწავლობს (ამათგან კლასში ნახევრის მეტი არ არის ხოლმე უთუოდ)

ყალბი

და მაინც ზედამხედველი იწუნებს სწავლა-აღზრდის საქმეს. აიღეთ კავკასის სკოლა, რომელმაც 25 წლის იუბილური გადაიხადა შარშან და ერთ დროს სამაგალითო სკოლად ითვლებოდა თურმე. წლიდან დაარსებისა, მოწაფეთა რიცხვი იზრდებოდა 1908 წლამდის 32--244 და ამ წლიდან ხულ მცირდება და უკვე 1912—13 წელს ჩამოვიდა 190-მდე. ძნელი წარმოსადგენია სამაგალითო სკოლას ხალხი აკლდებოდეს და არ კი აწყდებოდეს. სენაქის სკოლა უფრო უცნაურ მდგომარეობაშია თურმე: „მასწავლებლები ჯერჯერობით ჯამაგირს ღროზედ ვერ იღებენ“. არც ქუთაისის სკოლაა უკეთესად, რომლის „ნიეთიერი მდგომარეობა უნუგეშოა“, როგორც სწორენ ანგარიშში, ან რატომ ჰქვიან ამ სკოლას წ.-კ. საზოგადოების სახელი, არ ვიცით. ამ გვარად ყველა სკოლას შეიძლება ჩვენი სახელი დავარქვათ, მაგრამ ჩვენი კი არ იქნება. ან მკითხველს შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ წ.-კ. სკოლის შეგირდმა იხადოს წელიწადში ექვსი თუმანი, როგორც ეს არის ქუთაისში?

მაგრამ ყველაზედ საგულისხმიერო ის არის, რომ სკოლების და ბიბლიოთეკების დასათვლიერებლად იყო დანიშნული საგანგებო ინსპექტორი, რომელსაც 15 სკოლიდან მარტო 4 დაუთვლიერებია, რომელთაგან ორი—თბილისშია. გამგეობის ერთ წევრს უნახავს კიდევ ორი სკოლა და დანარჩენი სკოლები „დაუთვლიერებელი დარჩა, ვინაიდან გამგეობის წევრებმა ვერ იმოვნეს ამისათვის თავისუფალი დრო“. სამეგეოროდ 1911—13 წლამდის გამგეობას ჰქონდა 140 სხლომა, გაარჩია 1032 საქმე. გამგეობამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია საზოგადოების სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებას (როგორც ზემოდ ავწერეთ), ვაქრობის (?) მოწესრიგებას, ძველი ვალების გინაღდებას, წიგნთ-საცავისა და მუზეუმის დალაგებას“. გავსინჯოთ ეს სია საქმეთა. რაში გამოიხატება მაგ. ვაქრობის გაუმჯობესება? იმაში, რომ ვოგებაშვილისაგან დატოვებულ წიგნების შემოსავალს არაფერი მოჰმატებია და გაუმჯობესება იმაში გამოიხატება უთუოდ, რომ ბ-ნ გოგიჩაიშვილისაგან გამგეობამ განსაკუთრებულ კომისიასთან შეუთანხმებლად შეიძინა ნახშირი ნივთები; რომელნიც... ცეცხლში დაიწვინენ. ეს უკანასკნელი გარემოება დიდი ყურადღების ღირსია საზოგადოებისაგან, რამდენადაც ჩვენ ვიცით, გოგიჩაიშვილისაგან შექმნილი ნივთები არ შეეფერებოდნენ იმ მიზანს, რომელიც დაუსახა გამგეობას მალაზიის განსაფართოებლად შარშანდღეობა საზოგადო

კრებამ. ამის გარდა ნივთები იყო ნახშირი, მიღებული იყო სიით და არავის კი ჩაუბარებია იგინი ფაქტიური დათვლიერებით, ისე რომ ძნელი გამოსარკვევი ხდება დამწვარი ყუთებში მართლაც საკანცელიარო ნივთები ელაგა, თუ სხვა რამ უკეთესი; ამას ზედმეტად ისიც უნდა დაერთოს, რომ ამ უნახავ ნივთებისათვის დაქირავებული იყო საგანგებო საწყობი (უკვე დამწვარი რასაკვირველია) და მალაზია კი, რომლის გადატანაზედ იყო მიტყეული მთავარი ყურადღება, დარჩა ისევ იმ დამალულ ადგილას, საცა წინად იყო აქიდან მკითხველი თვითონ დაასკენის იმ „ვაქრობის მოწესრიგებას“, რომელზედაც სწერია ანგარიშში. ჩვენ აღარას ვიტყვი იმ „უბედურ შემთხვევაზედ“, რომელმაც 25 ენკენისთვის იმსხვერპლა წ.-კ. საზოგადოების დიდძალი ქონება, რომელიც... დაუზღვეველი აღმოჩნდა, მაგრამ მეორე უბედურ შემთხვევაზედ“ კი არ შეგვიძლიან არ მიუთითოთ საზოგადოებას: როდესაც ცეცხლში იწვოდა წ. კ. ს. წიგნები და გოგიჩაიშვილის ნივთები, ჩვენ შევეკითხეთ ერთ-ერთ უახლოეს მოღვაწეს საზოგადოებისას: დაზღვეული ვაქვთ თუ არა, საწყობები და მან გვიპასუხა: არ ვიცია. აი სწორედ ეს „არ ვიცია“ დამახასიათებელი საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა.

ჩვენ არ შეგვიძლიან არაფრის თქმა „ვალების განაღდებაზედ“, რადგან ვალები საზოგადოათ ისეთი საქმეა, რომ თითონ გამანადღებელსაც უძნელდება ხოლმე ნამდვილ ვითარების გამოარკვევა, მაგრამ მით უმეტეს უნდა შეგვიჩერდეთ „წიგნთ-საცავის და მუზეუმის დალაგებაზედ“.

ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენ უკვე გამოვთქვით პრინციპიალური მოსახრება, რომ წიგნთ-საცავის და მუზეუმის შენახვა არ შეადგენს წ.-კ. გ. ს - ის პირდაპირ დანიშნულებას, ტყუილა უბრალოდ ჰქსაქსავს მის ისედაც ღარიბ ხალხს და ენერგიას და მამინ, როდესაც ეხლა უკვე არსებობს სპეციალურად ამისათვის შექმნილი საზოგადოება და მუზეუმი—პირდაპირ ბოროტებად მიგვაჩნია ცალკე მუზეუმის შენახვა. შემდეგმა კრებებმაც მიაქციეს ყურადღება ამ არა ნორმალურ მდგომარეობას, პრესამაც არა ერთხელ აიმაღლა ხმა ამაზედ, მაგრამ წიგნთ-საცავი და მუზეუმი სრულიად გამოურკვეველ მიზეზების გამო დარჩა თავში საცემად იმავე ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას, რომელიც მუდამ ჩივის ბევრი საქმე მაქვს, ცოტა საღსარი და... სკოლებიც უნუგეშო მდგომარეობაში. ახლა უნდა ნახოთ თვით მუზეუმი, რომ დარ

წმუნდეთ მის უნიათობაში. მის გვერდით არსებობს ქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რომლის დამაარსებელთ სამიოდე წელიწადში შექმნეს მართლაც საუცხოვო, მეცნიერულად მოწყობილი და ევროპიულ-კულტურული გამომეტყველების ტაძარი, საცა სული არამცთუ ისვენებს, არამედ იშლება და სიამაყით ივსება, რომ ქართველობასაც თურმე შესძლებია კულტურული საღაროს შექმნა; და იქვე მწ წლის ნაცოდვილარი საწყალობელი მუზეუმი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისა, საცა კანტი-კუნტად, უაზროდ გაბნეულია რამდენიმე ძვარფასი ნივთი, ხელთნაწერი და წიგნი. მერე რისთვისაა ყველა ეს განცალკევებული და არა შეერთებული, რომ უფრო დიდი და სასარგებლო ყურადღება მიიქციოს ყოველი მნახველისა? არ ვიცით, და არც არავინ იცის. იხარჯება ზედმეტი ფული, დრო, ენერჯია და მიზანი არავინ უწყის. ჩვენ ეხლაც, როგორც კვლავ განვიმეორებთ, რომ აუცილებლად საჭიროა ეს მუზეუმი გადაეცეს ქ. საისტორიო საზოგადოებას, რითაც წ.-კ. საზოგადოება შეამკირებს ხარჯსაც და იძულებულიც აღარ იქნება მუზეუმის გამოისობით ნაკლები ყურადღება მიიქციოს სკოლებს.

მაგრამ ამ კერძო საკითხების შემდეგ, საჭირო აღნუსხვა იმ მიზეზთა, რომელნიც საზოგადოთ უშლიან ხელს წ.-კ. საზოგადოებას მკვიდრ და საღადაგზედ დასადგომად.

ჯერ ერთი საზოგადოების საქმე იმდენად გართულდა, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მისი დატოვება წინანდებურ საქველმოქმედო და საპატიო აღვილზედ—იგი მთელი დაწესებულებაა უკვე და მოითხოვს ყოველდღიურს, სისტემატიურს მუშაობას, ბევრჯელ დაწვრილიმანებულსაც და ყოველს შემთხვევაში აუცილებელს, მაშინ როდესაც საქველმოქმედო და საპატიო საქმე—ნებაყოფლობითია და არავის შეუძლიან დააძალოს, ან უსაყვედუროს საპატიოდ ამორჩეულ პირს—სისტემატიურად იზრომეო, და რაც უარესია, არავის შეუძლიან პასუხი მოსთხოვოს უსაქმურობისათვის. მეორე მხრით, ჩვენ კარგად ვიცით, რომ არა მარტო წ.-კ. გ. ს., არამედ მთელი ქართველი საზოგადოებაც იმდენად ღარიბია, რომ ყოველ წევრს უხდება შრომა ლუკმა პურის საზოგადოდ, რაზედაც ეხარჯება ენერჯიაც და უმთავრესად დროც. ჩვენ კარგად ვიცით, თუნდ აწინდელ გამგეობის წევრთა დატვირთულობა წ.-კ. სა—ბის გარეშე საქმეებით, და არა ვთიკურად მიგვაჩნია მათი მოწყვეტა სწორედ ამ გარე-

შე საქმეებისაგან, რომელითაც სცხოვრობენ, საქველმოქმედო და საპატიო საქმისათვის. ამიტომ ჩვენი პირველი დასკვნა ის არის, რომ საჭიროა გამგეობაში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც დაჯილდოებულნი იქნებიან, რომ სხვა საქმისაგან შეედლოთ განთავისუფლება; მაშინ ისინი მეტი პასუხის მგებელნიც იქნებიან და მეტი დროს შეწირვასაც შესძლებენ თვით საზოგადოებისათვის. რასაკვირველია, მაშინვე გვეტყვიან: საღსარი გვიჩვენეთო, მაგრამ ამაზედ პასუხი ერთია: საღსარი უნარს და საქმიანობას მოაქვს და არა ქველმოქმედურ უსაქმობას.

მეორე მიზეზი საქმის უხეირობისა ის არის, რომ საზოგადოება კისრულობს მეტად ბევრს სკოლებს, ბიბლიოთეკებს და უცხო საქმეებსაც, როგორც ზემოხსენებული მუზეუმი, საგურამოს მამული და სხ. მაშინ როდესაც საქმის კარგად წასაყვანად საჭიროა თავიდან მოშორება ყველაფერი მეტისა, რომ შეძლება დარჩეს თუნდ ცოტასი, მაგრამ კარგად გაკეთებისათვის.

მესამე და უდიდესი მიზეზი კი საქმის უსაქმურობისა ის ჯგუფობრივი ხასიათია, რომელსაც ამლევს ნას ქართველი ინტელიგენცია. ქ. შ. წ.-კ. გავრცელება მონობოლია არ უნდა იყოს ისეთი ხალხისა, რომელსაც შეუძლიან სამი მანეთის გადახდა, რადგან სამი მანეთი კი არ არის საქმიანობის დამახასიათებელი, არამედ დემოკრატიზაცია საზოგადოებისა. რამდენადაც ფართო იქნება წრე წევრებისა, იმდენად საზოგადოება უფრო უახლოვდება იმ ხალხს, რომლისთვისაც არის დაარსებული და რომლის გულშიაც უნდა იტრიალოს და გაავრცელოს წერა-კითხვა. ამ წრის გაფართოება კი მხოლოდ საწევრო გადასახადის დაკლებით შეიძლება.

სახალხო განათლების მსურველთა ცენზი არ უნდა იყოს თვით ხალხის შეძლებაზედ დიდი, რომ მანაც მიიღოს მონაწილეობა თავის საკუთარ საქმის მოწესრიგებაში.

განა გამგეობაში რომ ორიოდვე მართლაც ხალხის შეგნებული წარმომადგენელი იყოს, შესაძლებელი იქნებოდა ისეთი ბიბლიოთეკის დაარსება და შენახვა საცა ხალხი არ დიარება, ან ისეთი მუზეუმისა, რომელსაც წერა-კითხვასთან იმდენივე აქვს საერთო, რამდენიც ქართულს ჩინურთან. მუზეუმი ინტელიგენტური სათამაშოა წ.-კ. საზოგადოებაში და სხვა არაფერი და ძვირადაც ღირებული.

აი, ჩვენის აზრით, უმთავრესი პრინციპები, რომელზედაც უნდა აიგოს მომავალი საქმიანი მო-

ქმედება:

- ა) ჯილდო ყოველს მომუშავეს.
- ბ) საქმის გამარტივება მიზანთან შეთანხმებით.
- გ) საზოგადოების დემოკრატიზაცია საწევრო გადასახადის დაკლებით.

რ. გ.

ვაღერის ბრიუსელის აზრი გერმანელებზე

„P. B.“ ფურცლებზე ამჟამად ფრიად სანტურელს წერილები იბეჭდება რუს პატი ვალ. ბრიუსელისა. ერთი წერილი ეკება ლოძში გერმანელების მოქმედებას. ვიცდებით შემოკლებით გაცანთ შკათხეულებს.

ლოძი უმთავრესად ებრაელებითა და იმ ელემენტებით არის დასახლებული, რომელნიც ფულის მოკების იქით აღარას ხედავენ. „ფული, აი ჭეშმარიტი სული ლოძში მცხოვრებლებისა“. ამიტომ ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ზარი იქმნებოდა ლოძელებისთვის იმი და განსაკუთრებით ის მომენტი, როდესაც მთავრობამ ქალაქიდან დროებით ჯარი გაიყვანა და დაწესებულებანიც გააქემა. ქალაქიდან გავიდა სახელმწიფო ბანკი, სასამართლოები, პოლიცია, ბირჟა, ერთი სიტყვით, ლოძელთა ჩვეულებრივი ცხოვრების ფორმები თითქმის უქცრივ გადნა და საკუთარ ძალაზე დაემყარა.

მუდამ სხვის ძალის მყოფი მცხოვრებნი ესლა უეცრივ უძლეო ბავშვებს დაემსგავსნენ, უზომო შიშმა მოიცვა; უფულობა, განსაკუთრებით სახელმწიფო ბანკის გადატანის შემდეგ, ეოველგვარი წესრიგი შესწედა, ხურდა ფული არსად იყო, ქაღალდის ფულს კი არაფერ ახურდავებდა. რესტორანებში ვიდრე ფულს არ აჩვენებდით, სადილს არ გაჭეუდნენ, გინდ ქაღალდის ფული არ ამოიღოს დასახურდავებულად. უბრალო ნივთებში, რომელთა ფასი ხშირად 2—3—10 კაპ. არ აღემატებოდა, ძალაუხერებურად უნდა ათ მანეთანებით შეეძინათ, მაგრამ ისე კი რომ არავითარ ხურდას არ მიიღებდნენ.

საზოგადოების დამხმარებლად ისეუ დიდი კომერციული დაწესებულებანი გამოვიდნენ, მათ გამოუშვეს თავიანთი საკუთარი ფული მნეთიანი, 50 კაპ. და ოც კ. რასაც „ბონებს“ უწოდებენ. ამგვრ ბონებს მალე შეეჩვიეს ხალხი და რაოდენადმე მანინ აღდგენილ იქმნა ფულის ტრიალი.

მცხოვრებთა შიშის მიზეზად, რატორც ითქვა,

პოლიციის დათხოვნა იყო. შექარხნეებს და საზოგადოდ მდიდრებს ეკონათ, ეს ეს არის უწესობა იქნეს თავს და უჩაღთა ძარცვა-გლეჯის საზღვარი არ ექნებათ. შეძრწუნებული სახით დღე-დღეზე მოკლადნენ თავიანთ ქონების განადგურებას. ამ მხრივ მცხოვრებნი იხსნა „ადგილობრივმა დამცველმა კომიტეტმა“, ანუ „სახალხო მილიციამ“. რომელთა მილიცია ამხანად გარდაიქმნა და ქალაქის ცხოვრების მთელი ფუნქციები ხელში ჩაიგდო. უსუსიდლოდ თითქმის ათითასი კაცი გამოვიდა. ესენი იყოფებდნენ სხვა და სხვა დარგებად. მთელი ქალაქი გაჭეუეს 9 უბნად, თვითუელ უბანს ინახავდა თავისი საკუთარი მილიცია, რომელსაც განსაკუთრებული ფერის ნიშნები ჰქონდა.

ამხარივე სახით შედგენილ იქმნა სასანიტარო კომიტეტი, საფინანსო და ერთიც სანდოვნო. ამ უკანასკნელს უგებაზე შეტი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. როდესაც აღმინისტრაციამ თავი გაანება ქალაქს, მილიციას გადასცა რამდენიმე ასი ტუსადი. რაკი-და იმდენი სურსათი არ იყო, რომ მათთვის ეჭმით, ნაწილი გაანთავისუფლეს. იგივე მილიცია ჰმატრონობდა და აწესრიგებდა სამოქალაქო მეურნეობას და ვაჭრობას, რომ თავგანუელ ვაჭრებს არ ესარგებლნათ და ძვირად არ გაეუიღნათ სასოვავე, ანუ სახშირი.

აი ამ უოფაში იყო ლოძი გერმანელთა შემოსვლის დროს. შემოსვლისთანავე მათ დააკანანეს ასეთი ცხოვრების წეს-რიგი. გერმანელებმა დანიშნეს თავიანთი „გუბერნატორი“, რამდენიმე „კომენდატი“ და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში სწრაფად ჰგზავნიდნენ თავიანთ ჯარისკაცებს, რომ დაჭმარებოდნენ მილიციას წეს-რიგის აღდგენაში, მაგრამ შინაურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ. სხვა და სხვა მილიციის კომიტეტებს უფლება ჰქონდათ სრულიად დამოუკიდებლად ემოქმედნათ.

და თქმა უნდა ეკვლა დიდი დაწესებულება დახურა უმთავრესად იმიტომ, რომ ქალაქი მოსწედა სხვა ქალაქებს, მათ შორის აღარავითარი კავშირი აღარ იყო, მიმოსვლა შესწედა, — მაგრამ შინაურ ცხოვრებაში დარჩა მრავალი ისეთი მხარე, რომელიც ადგილობრივ საჭიროებას შეერთებდა: რესტორანები, მაღაზიები, თეატრები, გაზეთები თითქმის განუწყვეტლავ მუშაობდნენ გერმანელთა შემოსვლამდინდ და შემდეგაც. ზირ-იქით, გერმანელთა შემოსვლის თანავე თვით ისეთი მაღაზიებიც კი გაიხსნა, რომელნიც მალე საზოგადოებას ესტრობება ფუფუნების ხელის შესაწეობად. მოვაჭრებად თვითონ გერმანელებიც გამოდიოდნენ, ეიდულობდნენ საცვალს, ხილს, ღვინოს. ზირეკლად გერმანულ ფულს

იძლეოდნენ და შემდეგ კი ბარათებს. გერმანელთა მიერ დანიშნულმა გუბერნატორმა რუსული მხეთიანი შიკაფას კრთ მარკად და 40 ფენიგად. ამის შემდეგი ის იყო, რომ ვაჭრობა მალე მარკებით შემოვიდა. გერმანელმა ლიბერტმა კურსა ასწია და მხეთი 2 მარკად გამოაცხადა, ხოლო გულდენი 80 კაპ.

ასევე ვაჭრობდნენ რესტორანები და უავასხები. კომიტოტოგრაფის გულმოდგინე სტუმრები თვითონ გერმანელებიც იყვნენ. მათავე მოთხოვნისაგან გამომდინარე თუკტრი. წარმოდგენები იმართებოდა სლამის 5—8 საათამდე. აფიშები იბეჭდებოდა რუსულად და გერმანულად.

გამოდიოდა ჟურნალებიც. რუსულად „ლამის ფურცელი“ ხოლოზურ ენაზე „Rozwos“ და ორიც ებრაულურად...

თუ რომ ეგვიპტეის კრთად თავს მოგუერით, მასინ ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, თუ რატომ შიშის ზარი დასცა ლაძელებს გერმანელების შემოსვლამ: ქუჩებზე მუდამ ცხენებს დაატყებდნენ გერმანელი აფიცრები. მათ ნახვილით უავასხებში, რესტორანებში უფელ კუთხეს ჰქვიდნენ გერმანულ გასეთებს, სლაც გერმანელთა გამარჯვების კარდა ვერას ამოკითხავდით. ქუჩებში გერმანული განცხადებანი კვლავ გერმანელთა ბატონობას ჰქვიდადებდა. ამასობაში კი ქალაქში უმუშევართა რეზი იზრდებოდა და იზრდებოდა, სიძვარე ჩამოვარდა, ირთად სეკონობი გახდა მრავალ უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დიპლომატიული საგნების ნაკლებობა. სამშობლო ქალაქის მტრის ხელში ეფონა ეგვიპტის ალექსანდრე. ქუჩაში გერმანელთა მუნდირის დანახვა სულს ამძიმებდა, კავშანის ფრთებს ამლევინებდა და მოუთმენლად აღმოდინებდა სანატრელ დროს, რადესაც ცხოვრება აღსდგებოდა და მტრის დაშქარი განადგურებოდა მათ გულიდან ეს სანატრელი დროც. რა თქმა უნდა, თავისთავად აღსდგებოდა.

ეგვიპტეს მდგომარეობა

ოსმალეთიც ჩაერია ომის კონცერტში და ამ ვარემოებამ დააფიქრა არა მარტო რუსეთი, რომლის ყურადღება აქეთაც ძალიანებურად უნდა მო-

ქცეულ იქმნას, არამედ ინგლისიც. ინგლისს უფრო, ვიდრე რუსეთს, ჰმართებს სერიოზული ფიქრი, რადგან თუ ოსმალეთს ასე ადვილად არ შეუძლიან ინდოეთში ამბოხების ცეცხლი დაანთოს და ორასი მილიონი მაჰმადიანი მცხოვრები თავის მხარეზე გადაიყვანოს, სამაგიეროდ მას სულ თამამად შეუძლიან მუქარის მუშტი მოუღეროს ინგლისს, ეგვიპტეში, რომელსაც ინგლისისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც აღმოსავლეთთან ვადებულ სავაჭრო ხილს; ვამბობ, სავაჭრო ხილს, ვინაიდან ეგვიპტე და აქედან სუეცის არხი ის ჯადოსნური გასაღებია ინგლისისათვის, როლმითაც მოხერხებულად სარგებლობს იგი ინდოეთსა და ავსტრალიაში საზღვაო ვაჭრობის მოსაწესრიგებლად. ამის გარდა ეგვიპტე მით უფრო არის საყურადღებო, რომ ინგლისს იგი აფრიკის ახალშენების კარად აქვს ვადებული. მართლაც, ეგვიპტე და ნილოსის მდინარე ბუნებრივ გზას წარმოადგენენ, რომლითაც ინგლისი შედის ინგლის-ეგვიპტის სულანში, შემდეგ უგანდაში, აღმოსავლეთ აფრიკაში, სომალილენდში და სხვა. ეგვიპტის დიდი მნიშვნელობა თუნდ იმაში გამოიხატება, რომ სწორედ ეს ფარაონთა სავაჭრეულოს სამღვთო ქვეყანა აუარებელ ბამბით დატვირთულ გემებს უგზავნის დიდს ბრიტანიას.

ინგლისი დიდი ხნიდანვე ყურადღებას აქცევდა ეგვიპტის ნაპირების გამაგრებას. ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინად ინგლისმა ეგვიპტის ფაქტიურ მმართველად დანიშნა ლორდი კიტჩნერი, რომელიც დღეს სამხედრო მინისტრად იქმნა გამოცხადებული. ლორდმა მრავალი რეფორმები შეიტანა ეგვიპტეს პოლიტიკურსა და ეკონომიურს ცნოვრებაში. მაგრამ მისი ყურადღება სამხედრო ძალის გაძლიერებაზე იყო მიქცეული. მან ააგებინა შესანიშნავი სიმაგრენი ხმელთა შუა ზღვის ზღვრით, განსაკუთრებით ალექსანდრია მთელ ციხედ გარდაჰქმნა და მშვენიერი ბაზა მოუმზადა ინგლისის ნაღმონებს, უფრო დღევანდელ სამ მოკავშირეთა მოსალოდნელ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე ოსმალეთთან საომრად, რომლის საზღვაო უძლიურებაში მას ეჭვი არასოდეს შეუტანია.

ომის დაწყებამდე, როდესაც ოსმალეთმა ორქოფი პოზიცია დაიკავა, ინგლისმა ეგვიპტეში სანხედრო წესები შემოიღო. გერმანიისა და ავსტრიის ელჩები დაითხოვა და გარნიზონის გაძლიერებას შეუდგა. მასთან ენერგიული ზომებიც მიიღო. სუეცის არხის გასამაგრებლად რადგანაც ეს ერთადერთი უსასტიკესი დამაბრკოლებელი წერტილია,

რომელიც ოსმალეთს ხელს შეუშლის ეგვიპტეში შესასვლად. მართალია, ეს არხი ქალაქ ალექსანდრიიდან თითქმის 200 კილომეტრზე მდებარეობს, მაგრამ ოსმალეთის მარტო ერთი პირველი შეტევაც საგრძნობელი მარცხი იქნებოდა ინგლისისათვის, რადგან მაჰმადიან ეგვიპტეს ადვილად შეუძლიან თავისი ძალით გაუმკლავდეს იმ მცირე ჯარს, რომელიც ინგლისსა ჰყავს ადგილობრივ.

გაიღვიძა მაჰმადიანთა ტრიბუნ მუსტაფა-კამელ-ფაშას სულმა, რომელმაც არა ერთხელ და ორჯერ ააფრიალა ნახევარ მთვარის დროშა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის. ეს დიადი იდეა, რომელმაც თავის დროზე მთელი ევროპა აალაპარაკა, საბოლოოდ დახშული იქმნა მუსტაფას სიკვდილის შემდგომ, და განსაკუთრებით ლორდ კიტჩნერის დანიშვნის შემდეგ, რომელმაც საზღაპრო საშინელება შეჰქმნა მცხოვრებთა შორის: დღესაც მდაბიო ხალხს იგი ზეჰქვეყნიურ ქმნილებად აქვს წარმოდგენილი, რომელსაც ვითომც ურმის თვლების ოდენა ბღღვრილა თვალები აქვსო. ეხლა თუ დაუმტებთ ეკონომიურს კრიზისს, რომელიც დღევანდელ ომიანობის გამოისად ჩამოვარდა, ცხოვრების სიძვირეს, რაიც ტრიბუნ მუსტაფა-კამელ-ფაშაზე არა ნაკლებ ავტიაციას ეწევა ხალხის ასაჯანყებლად, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნება დღეს ეგვიპტე, ან რატომ დაუდგა ინგლისს მეტად სერიოზული საკითხი, რომ ხალხის ფანატიზმის ცეცხლი ჩააქროს და მანთან აიცილოს ზედმეტი შინაური ომი, რომელიც საზოგადოთ გარეშე ომზე უარესია.

ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია ინგლისისათვის და ღირსეულ საშუალებასაც იპოვის მის გარდასაწყვეტად... ტელეგრაფმა უკვე მოგვიტანა ცნობა, რომ ჯერ კიდევ არაბეთშივე დახვდა სუეცისაკენ მომავალ ოსმალეთის ჯარს—ინგლისელი ძლიერი რაზმი და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ყველა ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ ახლო მოვალეობაში უნდა ველოდეთ მნიშვნელოვან ამბებს უკვე აფრიკიდანაც.

დიოგენი.

წიგნების სია

რედაქციამ მიიღო ივანე როსტომაშვილის „გამოსადეგ ცნობათა“ შემდეგი ათი წიგნი:

1) საფუძვლები ზნეობრივის აღზრდისა ჩვენს დროში, ფასი ორი შაური.

2) როგორ არის მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე ბულგარეთში, ფასი ორი შაური.

3) როგორ უნდა ვასწავლიდეთ ქართულ წერა-კითხვასა, ფასი ორი შაური.

4) გონიერი და იაფი მიწათ-მოქმედება-მეურნეობა, ფასი ორი შაური.

5) ღორის მოვლა და მოშენება, ფასი 20 კ.

6) ფილოსოფოსი სოკრატი და მისი ფილოსოფია ადამიანთა ცხოვრებაზედ, ფასი ორი შაური.

7) თავისთვის თუ სხვისთვის?! (აღმოსავლეთური გადმოცემა), ფასი ორი შაური.

8) საბოსტნე მცენარეების თესვა მოყვანა და შენახვა-მოხმარება, ფასი 30 კაპ.

9) შრომა და სიმდიდრე, ფასი 10 კაპ.

10) როგორ უნდა ვასწავლიდეთ არითმეტიკას, ფასი 10 კაპ.

ვინც ათსავე წიგნს იყიდის, გაეგზავნება ერთ მანეთად. დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: **Въ Тифлисъ, Тумановскій пер. № 24**, ივანე როსტომაშვილს.



რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიბერატურო შუიანალ

„კლდე“-ზედ.

ფასი წლის ბოლომდის ოთხი აბასი

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

მოიკითხეთ ყველა მეგასეუთესთან

თბილისში გ ა ზ ე თ ი

„ახალი ქართლი“

გამოდის ქ გორში, კვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და

კვირაობით. ცალკე ნომერი ღირს ერთი შაური. დაკვეთით წლის დამლევამდე 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მალაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. შექანარიშვილთან, დოშეთის ქუჩა № 31.